



არჩევნების სავარაუდო გაყალბების ფაქტზე გამოძიება უნდა დაიწყოს

გასულ კვირას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში დასაქმებულმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოგვანოდა ინფორმაცია, სააგენტოს მიერ სავარაუდოდ ყალბი პირადობის მონმობების დამზადების შესახებ. მისი თქმით, ყალბი პირადობის მონმობები საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ გასაყალბებლად იბეჭდება და ამ პროცესს სააგენტოს მაღალი თანამდებობის პირები ხელმძღვანელობენ.

წყაროს ინფორმაციით, ყალბი პირადობის მონმობების დაბეჭდვა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ გადანყდა. მისი თქმით, ამ პროცესს ხელმძღვანელობენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე **სოსო გიორგაძე** და ამავე სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი **ბეჟან ობგაიძე**. წყაროს განმარტებით, წინა კვირას ამ თემაზე სპეციალური თათბირიც ჩატარდა. გეგმის თანახმად, ერთ ადამიანზე უნდა დაბეჭდილიყო ხუთი პირადობის მონმობა, რომლებშიც სხვადასხვა სახელი, გვარი და პირადი ნომერი მიეთითებოდა, ხოლო ფოტო ამ ერთი პირის იქნებოდა. ამ პირის მონაცემები აისახება რამდენიმე საარჩევნო უბნის საარჩევნო სიაში და შესაბამისად, შესაძლებელი იქნება ერთმა ადამიანმა სხვადასხვა პირადობით რამდენიმე უბანზე მისცეს ხმა, რაც ე.წ. „კარუსელის“ პრინციპით ხმის მიცემას წარმოადგენს.

წყაროს არ აქვს ინფორმაცია, თუ რა მასშტაბის არის აღნიშნული გეგმა ან სულ რამდენი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ყალბი პირადობის მონმობის დამზადება იგეგმება. მისი თქმით, პირადობის მონმობები სააგენტოს რამდენიმე ტერიტორიულ სამსახურში იბეჭდება. ასევე წყაროს განმარტებით, იმ რეგიონებში, სადაც ტერიტორიული სამსახურის ხელმძღვანელები არ არიან **ქ.ქ.ქ.ქ. A** პირები, ისინი მივლინებაში გაუშვს, ხოლო მათ ადგილას **ქ.ქ.ქ.ქ. A** პირები მიავლინეს. წყაროს ინფორმაციით, ასეთ **ქ.ქ.ქ.ქ.ქ. A** პირებად მიჩნეულნი იყვნენ სააგენტოს **წალენჯიხის** ტერიტორიული სამსახურის ხელმძღვანელი **არკადი ფიფია** და **გარდაბნის** ტერიტორიული სამსახურის ხელმძღვანელი **ზურაბ ხვედელიძე**. წალენჯიხაში ტერიტორიული სამსახურის ხელმძღვანელი მისი მივლინებაში ყოფნის განმავლობაში **მანუჩარ ნაჭყებია** ჩაანაცვლა. მივლინებაში ყოფნა არკადი ფიფიამ ჩვენს წარმომადგენლებს დაუდასტურა. მოპოვებული ინფორმაციით, სავარაუდოდ ასევე, მივლინებაში იმყოფება **ზურაბ ხვედელიძე**, რომლის მოვალეობასაც **გვანცა მენაფიჩე** ასრულებს.

ამ დროისთვის, ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეუძლებელია, განისაზღვროს რამდენად მასშტაბურია ეს გეგმა.

ყალბი დოკუმენტების დამზადება და არჩევნების გაყალბება სისხლის სამართლის დანაშაულია. ასეთმა ქმედებებმა შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს საარჩევნო გარემოს და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს არჩევნების ლეგიტიმურობა.

აუცილებელია, რომ შესაბამისი საგამოძიებო უწყებები დაინტერესდნენ **პირადობის მონმობების სავარაუდო გაყალბების ფაქტით**. შესაბამისად, **მოვუწოდებთ საქართველოს პროკურატურას, სასწრაფოდ დაიწყოს გამოძიება და მიიღოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები**.